ტკივილი და შეშუპება ინექციის მიდამოში	1.9	6.7	0.4	0.7	1.6
თავის ტკივილი	1.7	5.7	0.9	1.8	1.7
სინკოპე და კოლაფსი	0.1	0.6	0.1	0.5	0.2
სხვა (დაავადების გამწვავება, თავბრუსხვევა, გულისრევა, ღებინება, დიარეა, არტერიული ჰიპოტენზია, ტაქიკარდია, დაბუჟება, დადასტურებული კოვიდი და ა.შ)					4.1

იშგამების გადანაწილება ვაქცინების მიხედვით ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში

	Pfizer	Astrazeneca	Moderna	სულ ადმინისტრირებული დოზები	იშგამების წილი (%)	თარიღები
ინგლისი	90,842	193,105	13,536	78,168,962	0.38	09.12.2020-22.09.2021
უელსი	5,933	10,299	455	4,610,095	0.36	09.12.2020-22.09.2021
ჩრდილოეთ ირლანდია	2,271	2,831	49	2,510,683	0.2	09.12.2020-22.09.2021
შოტლანდია	9,169	16,445	1,675	7,984,538	0.34	09.12.2020-22.09.2021
გერმანია	41,534	40,368	24,457	101,877,124	0.1	27.12.2020-31.08.2021
ბელგია	12,361	8,454	3,243	7,896,683	0.3	25.03.2021-26.07.2021

წყაროები: [https://www.gov.uk/government/publications/coronavirus-covid-19-vaccine-adverse-](https://www.gov.uk/government/publications/coronavirus-covid-19-vaccine-adverse-reactions/coronavirus-vaccine-summary-of-yellow-card-reporting)

[reactions/coronavirus-vaccine-summary-of-yellow-card-reporting](https://www.gov.uk/government/publications/coronavirus-covid-19-vaccine-adverse-reactions/coronavirus-vaccine-summary-of-yellow-card-reporting)

[https://www.pei.de/SharedDocs/Downloads/DE/newsroom/dossiers/sicherheitsberichte/sicherheitsbericht-27-12-](https://www.pei.de/SharedDocs/Downloads/DE/newsroom/dossiers/sicherheitsberichte/sicherheitsbericht-27-12-bis-31-08-21.pdf?__blob=publicationFile&v=6)

[bis-31-08-21.pdf?__blob=publicationFile&v=6](https://www.pei.de/SharedDocs/Downloads/DE/newsroom/dossiers/sicherheitsberichte/sicherheitsbericht-27-12-bis-31-08-21.pdf?__blob=publicationFile&v=6)



სამუშაო ჯგუფი ამოწმებს იშგამ-ების ფორმების სრულყოფილად შევსებასა და სიზუსტეს (დოზა, ბრენდის სახელი, ვარგისიანობის ვადა და ა.შ.), გადასცემს ინფორმაციას რეგულირების ეროვნულ სააგენტოს, რომელიც შემდგომ პასუხისმგებელია იშგამ-ის შემთხვევების ჯანმოს/უფსალას მონიტორინგის ცენტრისათვის მიწოდებაზე. ასევე, იშგამ-ების შეტყობინება ყოველდღიურად ხორციელდება ვაქცინის 3 მწარმოებელთან - Sinopharm-თან ფორმა 58-ის ინგლისურენოვანი ვარიანტის მიწოდების სახით, Pfizer-BioNTech-თან ვებ-გვერდის მეშვეობით (www.cvdvaccine.com) და Sinovac-თან მათ მიერ მოწოდებული სპეციალური ფორმის სახით.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ეფექტურობის შეფასება



ქვეყანაში მიმდინარე COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესისა და მიღწეული ეფექტის შეფასების მიზნით, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ქვეყანაში მიმდინარეობს ვაქცინაციის შემდგომ ინფიცირების შემთხვევების მონიტორინგი და ძირითადი მახასიათებლების შეფასება. შეფასებამ მოიცვა 2021 წლის 15 მარტი-30 სექტემბრის პერიოდი³.



შეფასების მიზნით შერჩეულია კოვიდ საწინააღმდეგო ვაქცინაციით განპირობებული მახასიათებლები:	■ ინფიცირებისაგან დაცვის ეფექტურობა ■ ჰოსპიტალიზაციისაგან დაცვის ეფექტურობა ■ ინტენსიური და კრიტიკული მოვლის საჭიროებისაგან დაცვის ეფექტურობა ■ ლეტალური გამოსავლისაგან დაცვის ეფექტურობა
---	--



ინფიცირებულ ვაქცინირებულ შემთხვევად განხილულ იქნა ≥ 18 წლის ნებისმიერი პირი, რომელთანაც ადმინისტრირებულია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის ორივე დოზა და SARS-CoV 2 ვირუსით ინფიცირება ლაბორატორიულად დადასტურდა მეორე დოზის ადმინისტრირებიდან ≥ 14 დღის შემდეგ.

³ შეფასებისას გამოყენებული იქნა CDC-ის მიერ მოწოდებული მეთოდოლოგია <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/covid-data/covid-net/purpose-methods.html>



- მონაცემთა წყაროები:
- იმუნიზაციის მოდული
 - ლაბორატორიული მოდული
 - დაბადებისა და გარდაცვალების ელექტრონული მოდული
 - ჰოსპიტალიზაციის მოდული
 - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მონაცემები



1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოში სრულად ვაქცინირებულია **814 771** პირი. მათ შორის იდენტიფიცირებული იქნა SARS-CoV-2-ის ლაბორატორიულად დადასტურებული **11 403** შემთხვევა. ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ≥ 18 წლის პოპულაციაში რეგისტრირებულია ლაბორატორიულად დადასტურებული **279 987** კოვიდ ინფიცირებული.



დასკვნები (2021 წლის 15 მარტი - 30 სექტემბერი)

ინფიცირებისაგან დაცვის ეფექტურობა: სრულად ვაქცინაციის მიღებული პირების ინფიცირების შანსი **9.44-ჯერ** ნაკლებია (95% CI 9.26 - 9.62; $P < 0.0001$) არავაქცინირებულ პირებთან შედარებით.

- სრულად ვაქცინირებულ პირებში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით განპირობებული, ინფიცირებისაგან დაცვის ეფექტურობა **89.41%-ია** (95% CI 89.21 - 89.61, $P < 0.0001$).



ჰოსპიტალიზაციისაგან დაცვის ეფექტურობა: კოვიდ საწინააღმდეგო ვაქცინაციით სრულად ვაქცინირებულ პირებში ჰოსპიტალიზაციისაგან დაცვის ზოგადი ეფექტურობა **93.35%-ია** (95% CI 92.99 - 93.70, $P < 0.0001$), მათ შორის:

- ≥ 60 ასაკობრივ ჯგუფში ვაქცინაცია **92.29%-ით** იცავს ჰოსპიტალიზაციისაგან (95% CI 91.23 - 92.82; $P < 0.0001$).
- 18-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში ჰოსპიტალიზაციისაგან დაცვის ეფექტურობა **94.64%-ია** (95% CI 94.18 - 95.06; $P < 0.0001$).



ინტენსიური და კრიტიკული მოვლის საჭიროებისაგან (ICU-ში მოხვედრისაგან) დაცვის ეფექტურობა: ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მკურნალობა საჭირო გახდა სრულად ვაქცინირებულ **72** შემთხვევაში (მათგან მხოლოდ 4 პირი იყო < 60 წელზე ასაკის).

ინტენსიური და კრიტიკული მოვლის საჭიროებისაგან, სრული ვაქცინაციით განპირობებული დაცვა **97.81%-**ია (95%CI 97.24 - 98.27, $P<0.0001$).

- ≥ 60 ასაკობრივ ჯგუფში, სრულად ვაქცინირებულთა ინტენსიური მკურნალობის საჭიროება **97.74%-**ით ნაკლებად დგება არავაქცინირებულებთან შედარებით (95% CI 97.17 - 98.28, $P<0.0001$).
- 18-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი - **99.2%-**ის ტოლია (95% CI 97.86 - 99.7, $P<0.0001$).

ლეტალური გამოსავლისგან დაცვის ეფექტურობა: 2021 წლის 15 მარტი - 30 სექტემბრის პერიოდში, ქვეყანაში ვაქცინაციის დაწყებიდან მოყოლებული, >18 წლის პოპულაციაში, რეგისტრირებულია SARS-CoV 2-ით დადასტურებული **5 469** ლეტალური გამოსავალი, ამ შემთხვევების **98.96%** (5 412) არავაქცინირებული იყო, ხოლო **1.04%** (57) - ვაქცინირებული.

- 18-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში სრულად ვაქცინირებულთა შორის სიკვდილისაგან დაცვა **99.34%-**ია (95% CI 97.35-99.83 $P<0.0001$).
- ≥ 60 ასაკობრივ ჯგუფში სრულად ვაქცინაცია **97.24%-**ით იცავს სიკვდილისაგან (95% CI 96.40 - 97.88 $P<0.0001$).

სრულად ვაქცინირებულ პირებში COVID-19-ით განპირობებული სიკვდილიანობის მახასიათებლებისა და რისკების დეტალური ანალიზი, ვაქცინების, თანმხლები დაავადებების, ჰოსპიტალში დაყოვნებისა და სხვა კლინიკური თუ სოციო-დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით წარმოდგენილი იქნება წლის შემაჯამებელ ანალიზში.

ქვეყანაში გამოყენებული ცალკეული სახეობის ვაქცინის ეფექტურობის შეფასება, ხანგრძლივი და სპეციფიკური პროცესია. ამასთან, სახეზეა კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინების გამოყენების დადასტურებულად დადებითი შედეგი ყველა შერჩეული მახასიათებლის შესაბამისად.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის COVID-19-თან დაკავშირებული საკომუნიკაციო კამპანია

➡ 2020 წლის იანვრიდან მიმდინარეობს უწყვეტი ინფორმაციის მიწოდება მედიასა და საზოგადოებისთვის. დაიწყო რისკის კომუნიკაცია. ცენტრის მიერ მომზადდა ვიდეო ლექციები სამედიცინო პერსონალისთვის. შეიქმნა საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალა, მათ შორის საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობებისთვის. გააქტიურდა სოციალური მედია კამპანია. მიმდინარეობდა „დარჩი სახლში“ კამპანიის პოპულარიზაცია სოციალურ ქსელში ცნობილი ადამიანების მხარდაჭერით. პანდემიის დასაწყისში მომზადდა და განთავსდა საინფორმაციო სახის სარეკლამო რგოლები ქუჩის მონიტორებზე, საინფორმაციო სახის ელექტრონული ბანერები განთავსდა სხვადასხვა ინტერნეტ გვერდებსა და ვიდეო პორტალებზე. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს CDC-ს, ჯანმო-სა და სხვა საერთაშორისო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მასალის თარგმნა-ადაპტირება, მზადდება ვიზუალური მასალა, საგანმანათლებლო პოსტერები, ინფოგრაფიკები, ვიდეო-მასალა და ხდება მათი სოციალური ქსელით გავრცელება, ბრიფინგები მედიისა და საზოგადოებისათვის. ცენტრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გარკვეული პერიოდულობით იმართება ბრიფინგები პირდაპირი ჩართვით. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის მიწოდება ცენტრის ცხელი ხაზის 116 001 მეშვეობით.

➡ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის მხარდასაჭერად ექსპერტების ჩართულობით მომზადდა კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა. დაიბეჭდა საინფორმაციო და საგანმანათლებლო სახის მასალები და გავრცელდა რეგიონებში. ცენტრის მიერ ამ ეტაპზე განხორციელდა 20-ზე მეტი ონლაინ ვებინარი მედიის წარმომადგენლებისათვის, მ.შ. რეგიონული მედიის მონაწილეობით. განხორციელდა 20-მდე პირდაპირი ჩართვა ცენტრის Facebook გვერდზე ექსპერტების მონაწილეობით ვაქცინაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე; განხორციელდა 100-მდე ონლაინ შეხვედრა სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომელთათვის. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო კამპანია ცენტრის Facebook გვერდზე: <https://www.facebook.com/ncdcgeorgia>.

➔ ჯანმოსა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს COVID-19-ის საინფორმაციო კამპანია, რაც მოიცავს სოციალურ მედია აქტივობებს სოციალური მედიის შემუშავებული კონცეფციის მიხედვით, ვიდეო-რგოლების შემუშავებასა და ადაპტირებას; გადაცემების ციკლს რეგიონულ მედიაში; ონლაინ მედია ვებინარებს. მომზადდა ვებ-გვერდი www.ncdc.vaccines.ge, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ ვაქცინაციის შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის გაცნობა.

➔ ჯანმო-ს მხარდაჭერით მომზადდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სახის ვიდეოები:

- რეგისტრაციის ინსტრუქცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის <https://www.youtube.com/watch?v=VII2WvBDZQU>
- რა გზას გადიხართ COVID-19 ვაქცინაციისთვის <https://www.youtube.com/watch?v=WQcX3I2Uwe>
- რა გზას გადიან COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები შექმნიდან ავტორიზაციამდე <https://www.youtube.com/watch?v=BhoMLBnZYNk>
- რას ნიშნავს გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია <https://www.youtube.com/watch?v=4PTOL8zR0sU>
- ვაქცინაცია გვახლოებს <https://www.youtube.com/watch?v=S8EXwKSx0Qc>
- საჭიროა თუ არა პრევენციის ზომების დაცვა ვაქცინაციის შემდეგ https://www.youtube.com/watch?v=7n5mEn2ijgo&feature=emb_imp_woyt
- ჯანდაცვის მუშაკები, დარგის სპეციალისტები ვაქცინაციის შესახებ <https://www.youtube.com/watch?v=pYuQ5uxl0gk>
- <https://www.youtube.com/watch?v=Q515X0Dhh98&t=1s>
- https://www.youtube.com/watch?time_continue=2&v=r6Lxm6GOAJA&feature=emb_logo
- https://www.youtube.com/watch?v=gxidpDB1sc0&feature=emb_imp_woyt
- https://www.youtube.com/watch?v=Hnxkb76LhPY&feature=emb_imp_woyt
- <https://www.youtube.com/watch?v=4Wu62uO4yCg>





დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ითარგმნა საინფორმაციო და საგანმანათლებლო სახის ვიდეოები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე:

- როგორ მუშაობს ვაქცინა (WHO) - აზერბაიჯანულ ენაზე:
<https://www.ncdc.ge/#/pages/video/71a21b42-5001-48e8-b3fe-026c6546f792>
- გზა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინამდე - WHO. სომხურ ენაზე:
<https://www.ncdc.ge/#/pages/video/4470d97c-f8f9-47a7-bc3b-8bf6a91cd359>
- ვაქცინაციისათვის რეგისტრაციის შესახებ:
- <https://vaccines.ncdc.ge/video/#registration> - სომხურ ენაზე;
- <https://vaccines.ncdc.ge/video/#registration> - აზერბაიჯანულ ენაზე.

მომზადდა საინფორმაციო და საგანმანათლებლო სახის მასალები სომხურ <https://ncdc.ge/#/pages/content/ccaa3aff-8d10-4b7b-90d2-e0378b99f857> და აზერბაიჯანულ <https://ncdc.ge/#/pages/content/117316d6-ce72-41a9-a32e-c45696356e47> ენებზე.



განხორციელდა ვაქცინაციის დანერგვისათვის გადამზადების კურსი, რაც მოიცავს 3 მოდულს, მ.შ. ინტერპერსონალური და კრიზისის კომუნიკაციის მოდულს.



„ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარებს „ჯანმრთელობის ხელშეწყობის საგანმანათლებლო კამპანია COVID-19-ის კონტექსტში“ ცენტრის „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ Facebook გვერდზე:
<https://www.facebook.com/HealthPromotionGeorgia/>.



მიმდინარეობს შეხვედრები მართლმადიდებელი ეკლესიის და სხვა კონფესიების წარმომადგენლებთან და რელიგიურ ლიდერებთან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში; აგრეთვე ეთნიკურ უმცირესობათა თემთან მომუშავე არასამთავრობო სექტორისა

და სამოქალაქო სექტორთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, მშობლებთან, სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებთან რეგიონებში. მიმდინარეობს გადაცემები რეგიონულ მედიაში. Zink Network მხარდაჭერით შეიქმნა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვის საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია; შეიქმნა ვებ-გვერდი www.covax.ge; მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანია სოციალური მედიის მეშვეობით.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 116 001

➔ ცენტრის ცხელ ხაზზე COVID-19 საკითხებთან დაკავშირებით ზარების შემოსვლა დაიწყო 2020 წლის 23 იანვრიდან. 2021 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით სხვადასხვა პერიოდში ცხელ ხაზზე ოპერატორის ფუნქციას ახორციელებდა 80 პირი (მორიგეობის სამჯგუფიანი გრაფიკით).


➔ ცხელი ხაზის ფუნქციონირების საათები:

- სამუშაო დღეები: 09:00 – 23:00 სთ;
- უქმე დღეები: 09:00 – 23:00 სთ.

ცხელ ხაზზე შემოსული ზარების ჯამური რაოდენობა - 457 666:

- ნაპასუხები: 312 610 ზარი (68%)
- გაცდენილი: 145 056 ზარი (32%)

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზზე შემოსული ზარების ჯამური რაოდენობა (23.01.2020 – 30.09.2021)



საერთაშორისო პარტნიორობა



COVID-19-ის პანდემიის პერიოდში დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აქტიურად ახორციელებდა როგორც საზოგადოებასთან და სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ კომუნიკაციას. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა COVID-19-ის ინფექციასთან ბრძოლის მიზნით ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებაში, როგორც ტექნიკურად, ისე ფინანსურად. აღნიშნული თანამშრომლობა ემსახურება როგორც მაქსიმალურად გამჭირვალე, დროული ინფორმაციის მიღებას ცენტრის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორებისგან, ასევე საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით მიღებული რეკომენდაციების გაზიარებას სამიზნე აუდიტორიისთვის. ამ პერიოდში განხორციელდა ინტენსიური შეხვედრები ქვეყანაში მოღვაწე დიპლომატიური კორპუსისა და უცხო ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებთან.



ვაქცინების გლობალური თანასწორობისა და ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის და მიწოდების დაჩქარების მიზნით 2020 წელს შეიქმნა COVAX-ფონდი. ეს არის გლობალური თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს სადიაგნოსტიკო და თერაპიული საშუალებების და ვაქცინების შემუშავების, წარმოების და თანაბარი განაწილების პროცესს. საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ფონდთან, რომლის საფუძველზე ქვეყანამ უნდა მიიღოს 1 484 400 დოზა კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინას. ამ დროისათვის მიღებულია 160 020 დოზა ასტრაზენეკა და ფაიზერის ვაქცინა.



2021 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში საქართველომ დონაციის სახით მიიღო ვაქცინების გარკვეული მარაგი საერთაშორისო პარტნიორებისგან:

- 100 000 დოზა სინოვაკი (ჩინეთის მთავრობის დონაცია)
- 5 000 დოზა ასტრაზენეკა (ავსტრიის დონაცია)
- 15 000 დოზა ასტრაზენეკა (ლიეტუვას დონაცია)
- 500 000 დოზა პფაიზერი (ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დონაცია)
- 100 000 დოზა სინოფარმი (წითელი ჯვრის საზოგადოების დონაცია)
- 83 070 დოზა ფაიზერი (ლატვიის მთავრობის დონაცია)



COVID-19-ის საწინააღმდეგო იმუნიზაციის პროცესის (მ.შ. სამედიცინო ადამიანური რესურსების გადამზადების კომპონენტი) გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყვეს: EU, WHO, US CDC-მ.



COVID-19 პანდემიასთან ბრძოლაში საქართველოს დასახმარებლად აშშ-ს ევროპული სარდლობის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის (EUCOM Humanitarian Assistance program) ფარგლებში შესყიდულ იქნა და ქართულ მხარეს გადაეცა ვაქცინაციის პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა, რომლის ნაწილი უკვე მიიღო საქართველომ, ნაწილი წლის ბოლომდე ჩამოვა:

- 1 250 000 ცალი 0,5 მლ საინექციო შპრიცი
- 1 ცალი ვაქცინაშეიდი (მაცივარი მანქანა)
- 1 ცალი მინივენ
- 100 ცალი ვაქცინის სატრანსპორტო ცივი ყუთი (სხვადასხვა ზომის)
- 130 ცალი ტემპერატურის მონიტორირების მოწყობილობა (დატა ლოგერი)
- 22 000 ბასრი ნარჩენების უსაფრთხო კონტეინერი
- 3 ცალი „-80“ გრადუსიანი საყინულე მაცივარი - Thermo Fisher Scientific TSX60086D ვაქცინის შენახვა-დასაწყობებისთვის



- ყოველდღიურად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას ეგზავნება მონაცემები დღიურად დადასტურებული შემთხვევების შესახებ
- ყოველკვირეულად ევროპის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (ECDC) პლატფორმა TESSy-ში იტვირთება ჯამური მონაცემები შემთხვევების (ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით) შესახებ და აცრილთა რაოდენობები ვაქცინების მიხედვით

მონაცემთა წყაროები

- 

COVID-19-ზე ტესტირებების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროა COVID-19-ზე ტესტირების აღრიცხვის ელექტრონული მოდული Covid Lab (<http://labcov.moh.gov.ge/Hmis.LabCov.Web/>), რომელიც აგროვებს მონაცემებს ამბულატორიული და სტაციონარული სერვისის მიმწოდებელი სუბიექტებიდან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური/საქალაქო სამსახურებიდან; დკსჯეც-ის შესაბამის სამსახურებიდან; ლუგარის ს/ჯ კვლევითი ცენტრიდან და სამედიცინო დაწესებულებებში არსებული ან ცალკე მდგომი ლაბორატორიებიდან. მოდულში აღირიცხება ინფორმაცია პაციენტის მოკლე ანამნეზის, ნაცხის აღების, სწრაფი მარტივი ტესტირების ან ლაბორატორიული კვლევების და მათი შედეგების შესახებ (პოზიტიური, ნეგატიური და საექვო შემთხვევები). მონაცემთა აქტირთვა ხდება ღონისძიების განხორციელებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.
- 

COVID-19-ით დაინფიცირებულთა შესახებ ინფორმაციის წყაროს ასევე წარმოადგენს დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა (დზეის), რომლის მიზანია ადამიანის და ცხოველთა დაავადებების მონიტორინგისა და პრევენციის გაძლიერება და მხარდაჭერა „ერთიანი ჯანმრთელობის“ კონცეფციის ფარგლებში და, ასევე, ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (IHR 2005) უზრუნველყოფის ხელშეწყობა. დზეის-ის მეშვეობით ხდება დაავადება-სპეციფიური ინფორმაციის, ნიმუშების და შემთხვევასთან დაკავშირებული ლაბორატორიული მონაცემების და ჯამური მონაცემების მართვა.
- 

იმუნიზაციის პროცესის მართვისთვის ფუნქციონირებს იმუნიზაციის მართვის ელექტრონული მოდული, რომელიც განთავსებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პორტალზე www.portal.ncdc.ge.
- 

მოდულში სხვა აცრებთან ერთად ასევე აღირიცხება კოვიდ19-ის საწინააღმდეგო აცრები. სისტემა იძლევა საშუალებას ამოიბეჭდოს ბენეფიციარისთვის ჩატარებული აცრის საბეჭდი ფორმა.



საქართველოს რეგიონული ადმინისტრაციის
სამინისტროს ადმინისტრაცია
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR,
HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA TEL: 1505



ქვეყნის ავადმჯობესების
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი
GEORGIA NATIONAL CENTER FOR DISEASE
CONTROL AND PUBLIC HEALTH TEL: 116001

COVID 19 ბარათი/ COVID 19 FORM



მონაცემები განახლებულია / Data Updated 15.07.2021 20:50

პირადი ნომერი Personal Number	გვარი, სახელი Name, Surname	დაბადების თარიღი Date of Birth
01010...		

COVID 19 ვაქცინაცია COVID 19 Vaccination	ვაქცინის მწარმოებელი Vaccine Manufacturer	სერიული ნომერი Serial Number	თარიღი Date	სამედიცინო დაწესებულება Medical Institution
კოვიდი 19 დოზა 1/Covid 19 Dose 1	„Pfizer Manufacturing Pfizer“	ER7449	06.04.2021	შპს კეცისის მედიკამენტების ცენტრი
კოვიდი 19 დოზა 2/Covid 19 Dose 2	„Pfizer Manufacturing Pfizer“	ER7449	27.04.2021	შპს კეცისის მედიკამენტების ცენტრი

PCR ტესტის შედეგი PCR Test Result	თარიღი Date	ლაბორატორია Laboratory
neg	21.06.2021	შპს სამედიკამენტო ცენტრი ციტი

ხელმოწერა ელექტრონულად
Signed Digitally



Active
Go to S

➡ ჰოსპიტალიზებულ და გარდაცვლილ პაციენტთა შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროებს წარმოადგენდა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- დაბადება-გარდაცვალების მონაცემთა ბაზა;
- სტაციონარიდან გასული პაციენტების აღრიცხვის ელექტრონული მოდული - ფორმა IV-066 (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის N01-43/ნ ბრძანება);
- ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზა.

➡ დოკუმენტის მომზადებისას ასევე გამოყენებულია სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები.

განმარტებები

ახალი კორონავირუსი (SARS-CoV-2) - 21-ე საუკუნის მესამე ზოონოზური კორონავირუსული აფეთქების გამომწვევი, როდესაც ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა მოხდა.

პანდემია - ეპიდემია, რომელსაც ახასიათებს ინფექციური დაავადების გავრცელება ვრცელ რეგიონში ან მთელ მსოფლიოში.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ეროვნული გეგმა - შემუშავდა საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის მიერ ჯანმოს შემოთავაზებული მეთოდური დოკუმენტის საფუძველზე, ასრულებს გზამკვლევის როლს COVID-19 ვაქცინაციის დანერგვის პროცესში, მოიცავს ქვეყანაში პროცესის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო ქმედებებს, პასუხისმგებელ მხარეებს და ფინანსურ საჭიროებებს.

PCR მეთოდი - რეალურ დროში უკუტრანსკრიპციით მიმდინარე პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია / RT-PCR.

ანტიგენზე დაფუძნებული ტესტირება Ag-RDTs - სწრაფი ქრომატოგრაფიული იმუნოანალიზი, რომელიც თვისობრივად განსაზღვრავს ახალი კორონავირუსის ანტიგენის არსებობას ცხვირხახის ნაცხის ნიმუშში.

ანტისხეულებზე დაფუძნებული სწრაფი ტესტირება - ადგენს IgG; IgM და IgA ანტისხეულების არსებობას სისხლში, რომელიც გამომუშავდება, როგორც იმუნური პასუხი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევაში და გამოვლინდება დაავადების აქტიურ ფაზაში და/ან მის შემდგომ, რაც მიუთითებს ვირუსის მიმართ იმუნიტეტის არსებობაზე.

კუმულაციური ინციდენტობა - მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ინფექციის ახალი შემთხვევების რაოდენობას დროის განსაზღვრულ პერიოდში.

COVID-19-ის შემთხვევების ეფექტური რეპროდუქციის ინდექსი (R_t) - ინფექციის გადაცემის პოტენციალის მაჩვენებელი რეალურ დროში და გამოიყენება შესაფასებლად, ეპიდემია იზრდება, იკლებს თუ სტაბილურია.

COVID-19-ით სიკვდილიანობის მაჩვენებელი (100 000 ან 1 მლნ. მოსახლეზე) – COVID-19-ით გარდაცვლილთა რაოდენობა 100 000 ან 1 მლნ. მოსახლეზე.

ლეტალობის მაჩვენებელი COVID-19-ის დადასტურებულ შემთხვევებში (%) – COVID-19-ით გარდაცვლილთა წილი ყველა დადასტურებული შემთხვევიდან.

ყველა მიზეზით ნამატი სიკვდილიანობა (excess mortality) - ინდიკატორი, რომლითაც ფასდება, მოახდინა თუ არა გავლენა კონკრეტული დაავადების სწრაფმა გავრცელებამ და მასთან დაკავშირებულმა გარდაცვალების შემთხვევებმა სიკვდილიანობის ზოგად მაჩვენებელზე. განისაზღვრება, როგორც სიკვდილიანობა, რომელიც აღემატება მოსალოდნელ მაჩვენებელს.

იშგამ-ი - იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენა.

COVID-19-ის სანიტაჟიზაციო ვაქცინაცია საქართველოში




საქართველოში არსებული ვაქცინები:
 Pfizer-BioNTech (კვიბიგერ ბიონტეხი)
 Oxford/AstraZeneca (ოქსფორდ ასტრაზენეკა)
 Sinopharm SARS-CoV-2 Vaccine (Vero Cell) (სინოფარმი)
 Sinovac. CoronaVac -Vero Cell, Inactivated (სინოვაკი)

ვაქცინაცია გვიცავს




დაავადებათა კონტროლისა და
 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
 ეროვნული ცენტრი
 GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE
 CONTROL AND PUBLIC HEALTH

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები



საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები




ვაქცინაცია გვიცავს




დაამუშავა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები




საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19)
დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველი
დადასტურებული შემთხვევის შემდეგ
დეკემბერი 2020



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველი დადასტურებული შემთხვევის შემდეგ

ნოემბერი 2020



დაავადებათა კონტროლისა და საგანმანათლებლო პანდემიის პირველი ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE
CONTROL AND PUBLIC HEALTH


საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველი დადასტურებული შემთხვევის შემდეგ

ოქტომბერი 2020



დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE
CONTROL AND PUBLIC HEALTH


**საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19)
დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველი
დადასტურებული შემთხვევის შემდეგ**
აგვისტო-სექტემბერი 2020



თბილისი, საქართველო
საქართველოს ეროვნული ცენტრი
დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE
CONTROL AND PUBLIC HEALTH

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველი დადასტურებული შემთხვევის შემდეგ


ივნისი-ივლისი 2020



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველი დადასტურებული შემთხვევის შემდეგ


მაისი 2020



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველი დადასტურებული შემთხვევის შემდეგ

აპრილი 2020




#დარჩისახლში

საქართველოს მთავრობის მიერ, ამ პერიოდში, რეგულარულად ხდება საქართველოს მოქალაქეების ჩამოყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და დადგენილი პროცედურებით მაქსიმალურად ხორციელდება COVID-19-ის შემოტანისა და გავრცელების პრევენცია



ლაპაღლიბაძე კონტროლისა და საბიოპროტექციის განყოფილება
ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველი დადასტურებული შემთხვევის შემდეგ




#დარჩისახლში



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შრომის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები პირველ დადასტურებულ შემთხვევაზე



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
 GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH